ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7146319

ნომერი: AR11048425

თარიღი : 18.07.2024

გაცემის თარიღი : 24.07.2024

გაცნობის თარიღი : 24.07.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 71 , (სტუ VII სასწავლო კორპუსი);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი ნიაური პ/ნ 01010014173
- თბილისი, ლუბლიანას ქ. 11, ბ.76

ორგანიზაცია:

- გუნორი კოდი: 402013218

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება,
პასუხად გაცნობებთ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ.თბილისში, კოსტავას ქ.N71 - ში (სტუ VII სასწავლო კორპუსი) არსებულ შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები წარმოადგენს მცირე სარეაბილიტაციო / სარეაბილიტაციო სამუშაოებს. აქედან გამომდინარე, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადები > მშენებლობის ნებართვა>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი > მცირე სარეაბილიტაციო. აღნშნული ქმედების განხორციელების მიზნით სამსახურის მიერ გააქტიურებულია ნომენკლატურის ცვლილების უფლება;
ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ფასადის სიბტყეზე განთავსდეს მხოლოდ აბრა მოცულობითი ასოებით ფონის გარეშე (დამატებით წარწერები ამოღებულ იქნას საპროექტო ობიექტიდან).
2. წარმოდგენილ იქნას ძეგლის სრულყოფილი არქიტექტურული პროექტი. სპეციალისტის მიერ ხელმოწერილი დეტალური განმარტებითი ბარათი, არსებული და საპროექტო ფოტო და ფოტომონტაჟი;
3. ფოტომონტაჟებს მიეთითოს მასალა, ნიშნულები, და ფერის კოდები;
4. წარმოდგენილ იქნას საპროექტო სამუშაოების შესაბამისად დამუშავებული კალენდარული გეგმა-გრაფიკი;
5. საჭიროა წარმოდგენილი იქნას საპროექტო ფართის მესაკუთრის თანხმობა ან საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული იჯარის ხელშეკრულება, თუ ის ითვალისიწნებს შესაბამის თანხმობას. ნომენკლატურის ცვლილების შემდეგ დამკვეთად დაფიქსირდეს შპს "ადა" და დამკვეთის ინფორმაციის ველები შეივსოს შესაბამისად.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.